პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს - საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი
(ქ. თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. N6).

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნანა მონიავა
წევრი:
ქეთევან ჯანელიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს - საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შპს

საიდენტიფიკაციო კოდი: 405318570

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

2022 წლის 14 დეკემბერს ექსპერტთა ჯგუფმა (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 15 ნოემბრის ბრძანება № MES 1 22 0001458752) განახორციელა ვიზიტი ქალაქ თბილისში შპს - საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში „ღონისძიების ორგანიზების“ საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეიმუშავა დღის განრიგი, როელიც გცენტრის წარმომადგენელმა გადაუგზავნა კოლეჯს. კოლეჯში ვიზიტი დღის წესრიგის შესაბამისად მიმდინარეობდა. (იხ. ვიზიტის განრიგი, დანართი N1).

ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ კოლეჯის დირექტორს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, კონკრეტული მიმართულებებზე პასუხისმგებელ პირებს, პროგრამის განმახორციელებლებს (რამდენიმესთან მოხდა ონლაინ ჩართვა) და პროგრამის ხელმძღვანელს. განხილული იქნა საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები, კოლეჯის მატერიალური ბაზა, პრაქტიკის ობიექტებთან დადებული მემორანდუმები, პროგრამის მატერიალური რესურსი, პროგრამით გათვალისწინებული წიგნადი ფონდი. ექსპერტების მიერ დაწესებულების წარმომადგენლებს მიეწოდა ინფორმაცია მიგნებების შესახებ. ვიზიტი მიმდინარეობდა კეთილგანწყობილ და კონსტრუქციულ გარემოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი გახლავთ საერთაშორისო ორგანიზაციის EfVET – the European Forum of Technical and Vocational Education and Training - წევრია. ორგანიზაციის წევრობა ხელს უწყობს პროფესიული განათლების თანამედროვე ტენდენციებზე ხელმისაწვდომობას.

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ღონისძიების ორგანიზების“ დამატების თაობაზე 2021 წელს ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება, რომლის ფარგლებშიც დაწესებულებას უარი ეთქვა პროგრამის დამატებაზე (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება MES 3 21 0000746413, 27/07/202). აღნიშნული წარმოების ფარგლებში გაცემული ყველა რეკომენდაცია შესრულებულია კოლეჯის მხრიდან.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად რეკომენდაცია არ გაცემულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმავითარებელი რეკომენდაცია:

სასურველია დაწესებულებამ დააკორექტიროს მარეგულირებელი დოკუმენტები, გაასწოროს ტექნიკური უზუსტობები, დაწესებულების რეგულაციები და არსებული პრაქტიკა მოიყვანოს სინქრონიზაციაში ერთმანეთთან (მაგალითად: გასწორდეს ჩანაწერი „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში“ (მუხლი 2. პუნქტი 9. 20პროფესიულ სტუდენტზე დაწესებულებას ჰყავს მინიმუმ ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი); კოლეჯის ბიბლიოთეკის დებულების შესაბამისად აწარმოოს ბიბლიოთეკის კატალოგი და სხვა ბიბლიოთეკის დოკუმენტაცია, გადაიხედოს ვერიფიკაციის დოკუმენტი და სხვა).

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	ღონისძიების ორგანიზება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ღონისძიების ორგანიზებაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	პროგრამა დამტკიცებულია შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 8 ნოემბრის N18/22 ოქმით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ.თბილისი, ჯანო ბაგრატიონის 6
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30 პროფესიული სტუდენტი, ქ.თბილისი, ჯანო ბაგრატიონის 6 მოდულური (კოოპერაციული)
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	91

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	**სრული 3**	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	**სრული 3**	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

   კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებისას დაწესებულება ეფუძნება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა:

   კოლეჯის მისიასთან თავსებადობა, კოლეჯის მისიაა ადგილობრივ და საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებში კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადება. მრავალპროფილური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით, კოლეჯი ისწრაფვის პროფესიული სტუდენტის თეორიულ-პრაქტიკული ცოდნით და უნარებით აღჭურვისკენ, რაც ხელს შეუწყობს მის დასაქმებას და თვითრეალიზაციას. ვინაიდან კოლეჯი არის მრავალპროფილიანი, შერჩეული პროგრამა მიესადაგება კოლეჯის მისიას.

   მისიიდან გამომდინარე სტრატეგიული გეგმით განსაზღვულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/განხორციელება, 2025 წლისთვის მინიმუმ - 6 პროგრამა; სწორედ სტრატეგიული გეგმის შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯი გეგმავს საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრის გაფართოებას. პროგრამის დამატების გადაწყვეტილება დაეფუძნა საქართველოს უნივერსიტეტის(რომელიც არის კოლეჯის დამფუძნებელი) საჭიროებას. კოლეჯის ადმინისტრაციამ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი მზარდია და ძალიან ხშირად ესაჭიროება ამ მიმართულების პროფესიონალები სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად.

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება **არაინტეგრირებული** გზით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება.

   პროგრამაზე ჩარიცხვის პრობები შესაბამისობაშია პროგრამის შემუშავების საფუძველი ჩარჩო დოკუმენტით - **საოფისე საქმისა და ღონისძიების ორგანიზება** / Office Work and Event Managment, სარეგისტრაციო ნომერი 04119-პ, განსაზღვრულ მოთხოვნასთან, ასევე **საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს N 170/ნ ბრძანებით დამტკიცებულ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესსა და პირობებთან.**

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. კერძოდ:** შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიური საბჭოს N01/19 ოქმით დამტკიცებულია „შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. პროგრამაზე „ღონისძიების ორგანიზება“ სტუდენტთა რაოდენობა გაანგარიშებულია აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად.დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამების სპეციფიკის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტებისა და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განთლების მასწავლებელთა რაოდენობის გათვალისწინებით. ასევე რაოდენობა დამოკიდებულია A, B და C სასწავლო გარემოში არსებული პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო ადგილების რაოდენობის მიხედვით.

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

კერძოდ:პროგრამის ფარგლებში გამოიყენება ერთი AC აუდიტორია. გარემო აღჭურვილია მოდულების განხორციელებისათვის საჭირო შესაბამისი ინვენტარით და მატერიალური რესურსით.AC სასწავლო გარემოში არის სამუშაო ადგილი ერთდროულად 30 პროფესიული სტუდენტისათვის. პროგრამის ფარგლებში გამოიყენება ერთი B აუდიტორია, რომელიც ასევე გათვლილია ერთდროულად 30 პროფესიული სტუდენტისათვის.

- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 40 სასწავლო კვირას, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 60 სასწავლო კვირას.
- პროგრამით გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის მოდულების ფარგლებში კოლეჯი თანამშრომლობს რამდენიმე კომპანიასთან, მათ შორის საქართველოს უნივერსიტეტის 6 სკოლასთან, რომლებიც უზრუნველყოფენ 30 პროფესიული სტუდენტის საწარმოო პრაქტიკის გავლას საკუთარ ბაზაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დასახელებული ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯს ღონისძიების ორგანიზების პროფესიულ საგანმნათლებლო პროგრამაზე შეუძლია ჯამში 30 პროფესიული სტუდენტის მიღება.

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

   დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში არჩევითი მოდული გათვალისწინებული არ არის.

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

   დამტკიცებულია „სტრუქტურული ერთეულები, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 2021 წლის 29 ივლისის #12/21 ოქმით), რომლის თანახმად პროგრამის პროექტს ამტკიცებს კოლეჯის აკადემიური საბჭო, შესაბამისად, აღნიშნული პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს, კერძოდ აკადემიური საბჭოს 2022 წლის 8 ნოემბრის 18/22 ოქმით.

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

   კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება **„ღონისძიების ორგანიზება“** თანხვედრაშია **საოფისე საქმისა და ღონისძიების ორგანიზება/Office Work and Event Managment** ჩარჩო დოკუმენტით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრულ დასახელებასა და კვალიფიკაციასთან - **საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ღონისძიების ორგანიზებაში/ Secondary Vocational Qualification in Event Managment**, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის **„ღონისძიების ორგანიზება“** ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის.

პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები; სავალდებულო პროფესიული მოდულები; სასწავლო გეგმა; მატერიალური რესურსი და ინფორმაცია პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამა ითვალისწინებს მოდულების - ქართული ენა A2 და B1 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 1 ოქტომბრის N16/21 ოქმით (ცვლილება აკადემიური საბჭოს 2022 წლის 7 ნოემბრის N17/22 ოქმით) დამტკიცებული „აგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“

1. პროფესიული პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
2. კოლეჯის მისია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
3. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმი;
4. კოლეჯის აკადემიური საბჭოს N 01/19 ოქმით დამტკიცებული **შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის** პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
5. დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესი“;
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება
7. დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის დანართები;
8. კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების მიერ შერჩეულია:

   - **AC სასწავლო გარემო,** რომელიც გათვლილია ერთდროულად 30 პროფესიული სტუდენტისთვის. პროგრამით გათვალისწინებული ყველა პროფესიული მოდულის განხორციელება, გარდა ერთისა, გათვალისწინებულია **AC** სასწავლო გარემოში. C სასწავლო გარემო ესაჭიროება მოდულს „ღონისძიების ტექნიკური მომსახურება და უსაფრთხოება“ აღნიშნული პროფესიული მოდულის განხორციელებისათვის კოლეჯი ფლობს სასწავლო გარემოზე სცენის გასანათებელ მოწყობილობას (1 ც.); მიქშერს (1 ც.); მუსიკალურ ცენტრს (1 ც.); ციფრულ ფოტოაპარატს (1 ც.); მიკროფონის შტატივს (1 რადიო–მიკროფონს (2 ც.); დინამიურ მიკროფონ ს(2 ც.); ხმის გამაძლიერებელ მოწყობილობას (დინამიკი) (2ც.) აღნიშნული აღჭურვილობა განთავსებულია AC სასწავლო გარემოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- B სასწავლო გარემო (30 ადგილი); პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის კოლეჯი ასევე გეგმავს საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტის სივრცეების გამოყენებას;

ღონისძიების ორგანიზების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მისაღები სტუდენტების რაოდენობა არის 30. შესაბამისად, მოდულების განსახორციელებლად საჭირო აღჭურვილობა გათვლილია 30 სტუდენტზე.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის გათვალისწინებით, დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „**ღონისძიების ორგანიზება**“ განხორციელებაში სულ ჩართულია 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 7 არის ზოგადი მოდულების განმახორციელებელი, 8 ახორციელებს პროფესიულ მოდულებს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის შეფარდება სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასთან არის 16/30, რაც სრულად უზრუნველყოფს ღონისძიების ორგანიზების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრმის გნხორციელების მდგრადობას.

კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში არის ჩანაწერი, რომ დაწესებულებას 20 (ოცი) პროფესიულ სტუდენტზე ჰყავს მინიმუმ ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული ჩანაწერი არის შემორჩენილი ძველი არსებული რეგულაციიდან და ეს გათვლა ხშირად არ გამოდგება პროგრამის განხორციელების მდგრადობის მიმართებაში.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა **„ღონისძიების ორგანიზების“** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგარმაში ჩართული თითოეული მასწავლებელის პირადი საქმე. პირადი საქმეების შემოწმებისას დადგინდა, რომ პროგრამის მიზნებისთვის განსაზღვრულ ყველა პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს დარგობრივი ცოდნა/სამუშაო გამოცდილება განსავითარებელი სწავლის შედეგების ნაწილში. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების ყველა მასწავლებელს ასევე აქვს სწავლების და სტუდენტის შეფასების კომპეტენცია. შესაბამისად, ყველა პროფესიული განათლების მასწავლებელი აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებლ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული მიმართულებით, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგობრივი მიმართულებით შესაბამისი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების მქონე სპეციალისტი. მას უდასტურდება ასევე კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელი სრულფასოვნადაა ჩართული პროგრამის შემუშავებაში და სრულად ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესის, შეფასების სისტემის, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ, რაც დადგინდა პერსონალთან ინტერვიურებისას.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

   პროგრამით გათვალისწინებული საბიბლიოთეკო რესურსი წარმოდგენილია ელექტრონულად პროფესიული კოლეჯის ვებ-გვერდზე წიგნების განყოფილებაში (https://ugcollege.ge/ka/books). ექსპერტების მიერ ბიბლიოთეკის დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არის წარმოდგენილი პროგრამის მხოლოდ ზოგადი მოდულების სახელმძღვანელოები.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის შენობა ადაპტირებულია შშმ პირისათვის. შენობაში გადაადგილება შესაძლებელია ლიფტით, ორივე სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილები. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისათვის კოლეჯს დამტკიცებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების წესი. ვიზიტის პერიოდისათვის კოლეჯში სსსმ სტუდენტი არ ირიცხება.

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.** დაწესებულების მიერ შემუშავებულია პროფესიული პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“ ბიუჯეტი. პროგრამის რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 24 პროფესიული სტუდენტით. პროგრამის სავარაუდო შემოსავლებისა (30 სტუდენტის შემთხვევაში, თითოეულის გადასახადი -2250 ლარი) და გასაწევი ხარჯების შედარებით დგინდება, რომ დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი იქნება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. შენობის აზომვითი ნახაზები;
3. მატერიალური რესურსისა და ინვენტარის ფლობის დოკუმენტები;
4. პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა;
5. პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის დასაბუთება;
6. საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობები“;
7. კოლეჯის „სასწავლო პროცესის მართვის წესი“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **ღონისძიების ორგანიზება;**
9. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული მემორანდუმები;
10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეები;
12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
13. პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია;
14. დაწესებულების ვებგვერდი;
15. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

დაწესებულების მიერ შემუშავებულია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც კოლეჯის აკადემიური საბჭოს მიერაა დამტკიცებული (ოქმი N01/20, 05/02/2020წ.). საგანმანთლებლო პროცესის მარეგულირებელი წესი კოლეჯის აკადემიური საბჭოს მიერაა დამტკიცებული (ოქმი N11/21, 15/07/2021წ.) და მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის, პროგრამის გაუქმების, მობილობით გადასვლის მექანიზმებს. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის შემუშავების მიზანია ხარისხის უზრუნველყოფის როგორც პროცესის დაგეგმვა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგის და შეფასების მიზნით. ხარისხის შეფასების ციკლი გულისხმობს შემდეგ ეტაპებს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, გადახედვა/გაუმჯობესება. განხილული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულებას გაწერილი აქვს პროგრამის შეფასების მექანიზმები. ვიზიტის პროცესში გაირკვა, რომ დაწესებულებას ჰყავს ხარისხის მართვის ახალი მენეჯერი, რომლის ჩართულობითაც ხდება ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი დოკუმენტების რედაქტირება. ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებისას განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ვერიფიკაციის საკითხზე, მან წარმოადგინა წინა მენეჯერის მიერ ჩატარებული ვერიფიკაციის მასალები და ვერიფიკაციის დასკვნის განახლებული ფორმა. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი უზრუნველყოფს სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებების განხორციელებას სასწავლო მუშაობის ხარისხის სისტემური სრულყოფისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებას, სტუდენტთა სასწავლო პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების (კითხვარების, დანართების და სხვ.) განახლებას, დადგენილი სტანდარტების შესაბამისად შესაბამისი პოლიტიკისა და კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების, პერსონალისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასების პროცედურების შემუშავებას, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგად რეკომენდაციებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავებას საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დეტალების დაზუსტების შედეგად ირკვევა, რომ პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვების ანალიზის, შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების კვლევის ანალიზის საფუძველზე ხდება პროგრამების შეფასება. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გათვალისწინებულია ინტერესთა კონფლიქტის აცილებისათვის ვინ განახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს. პროგრამების შეფასებისთვის კოლეჯში შემუშავებულია შემდეგი კითხვარები: კურსდამთავრებულთა დასაქმების და კმაყოფილების კითხვარი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაქმებულების კითხვარი; სტუდენტების კითხვარი; მასწავლებელების კითხვარი; შიდა მხარდაჭერის ჯგუფის კითხვარი.

ექსპერტების აზრით პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. დაწესებულების შემდგომი განვითარებისათვის, ექპერტთა მოსაზრებით, მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ წარმოებულ იქნას დაინტერესებული პირების მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა, პროცესის ამსახველი მასალების შექმნა და წარმოებისათვის საჭირო წესების შექმნა.

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.** კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების (მოდიფიცირება) შეტანის და გაუქმების მექანიზმები, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან გასაუბრებით დგინდება, რომ ჩატარებული გამოკითხვებისა და მეცადინეობებზე დასწრების ანალიზის საფუძველზე, ხდება შედეგების ანალიზი, დასკვნების გამოტანა, რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვა. ხარვეზების და სტანდარტებთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში ხორციელდება სამოქმედო გეგმის შემუშავება და ცვლილებების შეტანა საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელი პირის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს წარედგინება ცვლილების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელების დასაბუთება, რის შემდეგაც ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის მენეჯერი განიხილავს წარმოდგენილ ცვლილებას და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, უბრუნებს წარმდგენს. ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ დადებითი დასკვნის შემთხვევაში, ცვლილების პროექტი წარედგინება აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად. ყოველივე აღნიშნულიდან დგინდება, რომ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
2. სასწავლო გეგმა;
3. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია
4. ვერიფიკაციის პროცედურა და მექანიზმები;
5. საქართველოს უნივერსიტეტთან 2021 წლის 1 მარტს გაფორმებული მემორანდუმი;
6. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

   „ღონისძიების ორგანიზების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო მოდულების თანმიმდევრობითა და გათვალისწინებული ვადებით უზრუნველყოფილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები. წინაპირობებიანი მოდულების შემთხვევაში ითვალისწინებს დროის შუალედს (მინიმუმ ერთ კვირას) განმეორებითი შეფასებისათვის, რაც თანხვედრაშია დადგენილ წესთან და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ რეგულაციასთან.

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

   დაწესებულების სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის ვალდებულებაა იზრუნოს სასწავლო პროცესის ეფექტიანად ორგანიზებასა და მართვაზე პროფესიული სტუდენტების საჭიროების გათვალისწინებით. უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტირებული გარემოს შექმნა. ასევე მისი ფუნქციაა მოდულის მსვლელობის მონიტორინგი, განმახორციელებელი პირების მომსახურება, პროფესიულ სტუდენტებისათვის სხვადასხვა სახის დოკუმენტების მომზადება და გაცემა; მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების (დიპლომი) რეგისტრაციის ჟურნალის წარმოების უზრუნველყოფა; პროფესიული სტუდენტისათვის ცხრილის შედგენა. შიდა და გარე რეესტრების შევსება და განახლება. პროგრამის ხელმძღვანელიც, საფინანსო სამსახურიც და სხვა ჩართულ პირებთან ერთად ვალდებულნი არიან სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებაზე. დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებისა და დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად ექსპერტთა მოსაზრებით დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად განახორციელებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას; ამისათვის პროგრამით განსაზღვრულ მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, შიდა ონლაინ სისტემა, რომელიც მორგებულია სტუდენტებისათვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე, აღნიშნულის გამოყენებით სტუდენტებს გამარტივებულიაქვთკომუნიკაცია კოლეჯის ადმინისტრაციასთან, მათ შეუძლიათ ერთ სივრცეში დაწერონ განცხადება, ნახონ შეფასებები, საინფორმაციო წერილები, აკონტროლონ გამოცდების და სასწავლო ცხრილები და ა.შ.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, ამისათვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს მექანიზმები, სადაც განსაზღვრულია ისგ-ს შედგენის საფუძვლები/წინაპირობები:

- სსსმ პირი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მობილობით გადმოსულია პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავდება კოლეჯის შესაბამისი საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისგან;
- პირი რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტხანს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას;
- წინმსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარებისას;
- იმ შემთხვევაში თუ პროფესიულ სტუდენტს სჭირდება სასწავლო რესურსებთან ადაპტირება, პროფესიული მასწავლებელი უწევს დახმარებას, ხოლო იმ შემთხვევაში თუ პროფესიული მასწავლებელი ვერ ახორციელებს ამ ტიპის დახმარებას, იგი აყენებს მოთხოვნას კოლეჯის დირექტორთან და შესაბამისად, ხდება სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება და პასუხისმგებელი პირების გაწერა.

ისგ იქმნება კოლეჯის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის მენეჯერის, მოდულის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, უშუალოდ სტუდენტის ან სტუდენტების მიერ (ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში შესაძლოა ჩართული იყოს სსსმ/შშმ პირის კანონიერი წარმომადგენელი/მხარდამჭერი). მათი ძირითადი მიზანია, მოხდეს ზუსტი განსაზღვრა თუ რა ტიპის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა შეიქმნას და რა ტიპის რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ პროფესიულმა სტუდენტმა მიაღწიოს სასწავლო შედეგს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით. კერძოდ პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“ განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორებული აქვს მემორანდუმი შპს „ივენთ ენდ მორ“. ურიერთთანამშრომლობის მიზანს წარმოადგენს კოლეჯის სტუდენტთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითრებისა და თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პროფესიონალება მომზადების ხელშეწყობა. მემორანდუმის ფარგლებში პრაქტიკის ობიექტზე მოხდება მოდულების: „პრაქტიკული პროექტი-სადღესასწაულო ღონისძიებების ადმინისტრირება“, „პრაქტიკული პროექტი-სპორტულ-სანახაობრივი ღონისძიებების დაგეგმვა“; „პრაქტიკული პროექტი-ოფიციალური საქმიანი შეხვედრების ადმინისტრირება. მემორანდუმში მითითებულია განხორციელების ადგილი, სტუდენტების რაოდენობა(არაუმეტეს 30 პრ. სტუდენტი) და ვადა 2 წელი.

თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია საქართველოს უნივერსიტეტთან. მემორანდუმი გაფორმებულია 2021 წლის 10 აპრილს, არის უვადო და გულისხმობს „ღონისძიების ორგანიზების“ სასწავლო პროცესის(თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობა) და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია შპს მოზაიკა პლიუსთან. მემორანდუმი გაფორმებულია 2021 წლის 10 ნოემბერს, არის უვადო და გულისხმობს „ღონისძიების ორგანიზების“ სასწავლო პროცესის(თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობა) და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობას.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის განხორციელების სპეციფიკა არ მოითხოვს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმების დაცვას. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შრომის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები და დაწესებულების ვალდებულებები შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში. დაწესებულებას ყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. შრომის უსაფრთხოების მიმართულებით დაწესებულებას სემუშავებული აქვს:

- უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი;
- საგანგებო სიტუაციების მართვის პროცედურები;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი;

კოლეჯის შენობის ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის საკონტაქტო ნომერი, განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. საგანმანათლებლო პროგრამა;
3. სასწავლო გეგმა;
4. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია;
5. პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან შპს საქართველოს უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმები;
6. ისგ-ის შემუშავების წესი;
7. ვერიფიკაციის პროცედურა და მექანიზმები;
8. შრომის უსაფრთხოების მარეგულირებელი წესი;
9. უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი;
10. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და პროცედურები;
11. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი;
12. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

   დაწესებულებას დამტკიცებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია შპს საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, სხდომის ოქმი N17/21, 15/10/2021წ.), რომელშიც გაწერილია შეფასებასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები: აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია რა ვადებში ეძლევა სტუდენტს განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რამდენჯერ, განმეორებითი შეფასების ადმინისრტირების საკითხები. განხილული წესი შესაბამისობაშია არსებულ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების ინსტრუმენტის ფორმა. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია ხორციელდება სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ, შესაბამისი დარგის სპეციალისტის ჩართულობით. ვიზიტის პროცესში ხარისხის მენეჯერმა განმარტა, რომ გეგმავს ვალიდაციის პროცესის გადახედვა და ცვლილებების შეტანას.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. ვერიფიკაციის პროცედურა და მექანიზმების დოკუმენტის (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი N03/20, 02/03/2020წ.) შესაბამისად სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნებისათვის კოლეჯში არსებობს შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელიც შექმნილია კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

დოკუმენტში განსაზღვრულია ვინ შეიძლება იყვნენ ჯგუფის წევრები. ხარისხის მართვის მენეჯერი (ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს), კოლეჯის დირექტორის მოადგილე სასწავლო მიმართულებით, პროგრამის ხელმძღვანელი (მონაწილეობს ვერიფიკაციის პროცესში ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის დაცვით), პროფესიული განათლების მასწავლებელი/მოკლევადიანი მომზადებისა და გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი/ინსტრუქტორი (მონაწილეობს ვერიფიკაციის პროცესში ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის დაცვით), მემორანდუმით/ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი, სხვა კომპეტენტური პირი, რომელიც არ მოდის ინტერესთა კონფლიქტში.

ვერიფიკაციის ჯგუფი შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომლის მიხედვითაც ახორციელებს ვერიფიკაციას. ვერიფიკაციის დასკვნისთვის კოლეჯში შემუშავებულია ფორმა რომელიც ივსება ვერიფიკაციის მონაწილე თითოეული პირის მიერ. შიდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერიფიკაციის გეგმა არის მუდმივად ცვლადი და ის შეიძლება შეიცვალოს საჭიროების მიხედვით, რომელსაც ადგენს პროცესის ხელმძღვანელი და მოდულის მასწავლებელი. აღნიშნული გეგმა ანგარიშის სახით წარედგინება კოლეჯის დირექტორს. შიდა ვერიფიკაცია შეიძლება ჩატარდეს ყველა მოდულის დასრულების შემდეგ. ვერიფიკაციის მიზანია შეფასების ხარისხის გაუმჯობესება. კოლეჯში მოქმედი ვერიფიკაციის მექანიზმების შესაბამისად განსაზღვრულია შერჩეული სტუდენტების პროცენტული რაოდენობა და ამ რაოდენობაში დაცულია გენდერული კრიტერიუმი. შიდა ვერიფიკაციის გეგმა ინახება კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ 3 წლის განმავლობაში. ვერიფიკაციის პროცესის დასრულებისას იქმნება დასკვნა. დასკვნაში მითითებული ცვლილებები თანხმდება კოლეჯის დირექტორთან, რის შემდეგაც ხდება მისი განხორციელება. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა ისაუბრა შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის და პროცესის ვერიფიკაციის აუცილებლობაზე, რის შედეგადაც მოხდება მექანიზმებში ცვლილებების შეტანა და მისი გაუმჯობესება. ასევე განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხებზე უკვე მუშაობს და პროცესი დაწყებულია.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესი არეგულირებს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვის უზრუნველყოფას და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ელექტრონულად. აქვე აღნიშნულია, რომ პროფესიული სტუდენტების მიერ შექმნილი მტკიცებულებები ინახება (როგორც მატერიალურად ასევე ელექტრონული სახით) სტუდენტის პორტფოლიოში, სასწავლო პროცესის მენეჯერთან, შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. ვადის გასვლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემდეგ კოლეჯი იტოვებს უფლებას აღნიშნული მასალის განადგურება განხორციელდეს კოლეჯის ელექტორნული საცავიდან. სტანდარტის შესაბამისად შეფასების უწყისი ინახება უვადოდ.

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

კოლეჯში მოქმედი ვერიფიკაციის წესის შესაბამისად დაწესებულება განახორციელებს სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს, ხოლო მიღებულ შედეგებს გამოიყენებს პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის, რადგან ვერიფიკაციის ბოლო ეტაპი მიზნად ისახავს შეფასების ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე ყველა ხარვეზის კვალიფიკაციის მომდევნო შეფასებისთვის გამოსწორებას, რომელიც შიდა შემმოწმებლის (ვერიფიკატორის) მიერ იქნება გამოვლენილი. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი. აღნიშნულ ღონისძიებებზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტი ყველა შეფასების შემდეგ მიიღებს უკუკავშირს პროფესიული მასწავლებლისაგან. შესაბამისად მას ექნება საშუალება, რომ მიღებული უკუკავშირი გამოიყენოს შემდეგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესი
2. ვერიფიკაციის პროცედურა და მექნიზმები
3. კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
4. ინტერვიუს შედეგები;
5. ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

26/12/2022

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: